# თეატრი და ცხოვრება

1910 სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი №37

ირა 19 ენკენ. ფასი 10 კაპ.



რწმენა, იმედი და სიყვარული

თეატრი და ცხოვრება
სათეატრო ჟურნალი

№ 37

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან
Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“
Іос. Зах. Имедашвили.
ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862.

№ 37 კვირა, 19 ენკენისთვე 1910 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 19 ენკენისთვე 1910 წ.

**რა არის ხელოვნების მიზანი?** ბევრს ხელოვნება რომ ხელოსნობისაგან ვერ გაურჩევია, —ეს ხშირად დამტკიცებულა. მწერლობას რომ თავი დავანებოთ, სცენაზედაც კი ბევრი მსახიობი, ვისაც არ შესწევს თვითშემოქმედების ღვთიური ძალა და ხელოვნების უნარი, თავისებურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პარტიულ ხელოვნებას“ გამოიჩენს ხოლმე, — მაგ. ვსთქვათ როლს თამაშობს, რომლის გასაპიროვნებლადაც საჭიროა უწყებული ზომიერება, თანშეზომილება ლაპარაკსა თუ სიჩუმეში, სიცილსა თუ ტირილში, სიარულსა თუ ჯდომაში, ხოლო ყოველივე იგი უბრალო, სადა მაყურებელში არ იწვევს აღტაცება — მოწონებას.— ამ შემთხვევაში იაფი ტაშის მომლოდინე მსახიობი მიმართავს არა ბუნებრივს გამოთქმა-მოძრაობას და ხშირად თავის საკუთარ სიტყვებსაც ჩასჩხირავს — რა არის მაყურებლებში ესა თუ ის გრძნობა გამოიწვიოს. — ასეთი მსახიობი არამც თუ ხელოვანი—იგი არც რიგიანი ხელოსანია.

იქნება ამას შესტრფიან „პარტიულ ხელოვნების“ მომხრენი?..

ესა თუ ის პარტია, ანუ კლასი კი არ წარმოშობს საკუთარ ხელოვნებას, არამედ ხელოვნებას კი შეუძლია წარმოშობოს ესა თუ ის მიმდინარეობა, თუ გნებავთ — პარტია, ვინაიდან იგი — ხელოვნება, ვიმეორებთ, ერთად ერთია და უსრულესი ადამიანის სულის შენაქმედთა შორის...

ჩვენი მოწინაალმდეგეთა აზრით, რომლებიც გვარწმუნებენ — ხელოვნება კლასიურპარტიულიაო, პროლეტარულიო, ისე უნდა ვიგულისხმოთ, რომ „ჟამსა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გამარჯვებისასა,“ მსახიობნი ლევან ხიმშიაშვილის, ნერონის, პეტრონიუსის, ჰამლეტის, ანუ შეილოკის როლებს „პროლეტარულად“ ითამაშებენ.

ასე არ არის?!

იმის მტკიცებას ხომ არ დავიწყებთ — ჩვენ შინაარსი, იდეა, გვაინტერესებსო. როგორი შინაარსიც უნდა ჩააქსოვოთ თქვენს ნაწარმოებში, რა იდეაც უნდა შეიტანოთ მხატვრულს, დრამატიულს, ანუ პოეტურს თხზულებაში, ყველგან და ყოველთვის ხომ ხელოვნების პრინციპები უნდა დაიცვათ?!

დაე, იყოს პროლეტარული ნაწარმოები, პროლეტარისაგან შექმნილი, თუ იგი **ხელოვნურია**, ხომ ყველას ყურადღებას თანაბრად მიიზიდავს! დიაღ ვისგანაც უნდა იყოს შექმნილი ესა თუ ის ხელოვნური ნაწარმოები, ყველას საფუძველი ხომ სიყვარულია, უმაღლესი, ზე არსებული სიყვარული, და რაშიაც ეს სიყვარულია გასკვნილი, იგი ხომ ხელოვნების დარგს ეკუთვნის...

ძველ საბერძნეთში, მუზათა სამშობლოში ხელოვნების ყველა შტოს მუზის სამყოფი მხოლოდ ერთი მთა იყო — პარნასის მთა, ყველა მუზას თითქოს განკერძოებული დარგი ჰქონდა აჩემებული: მოლექსეობა, მუსიკა, ცეკვა, დრამატურგია და სხ., მაგრამ ყველა ამ დარგთა გამაერთიანებელი, დედა აზრი იყო ადამიანის სულის განსპეტაკება, ამაღლება, გაფაქიზება...

ჩვენი მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან—ჩვენი მიზანია ხელოვნება იმას ხატავდეს, რაც ჩვენს სულსა და გულს ენატრებაო! ჩვენ ვძიობთ—როგორ ხატავდეს?

გვეტყვიან,—განსაკუთრებით ფრჩხილებიანი პარტიელები,—აგრე რომ იყოს, მაგას ხომ ყველა პარტიათა შეერთება მოჰყვებაო?!

დიახ, ხელოვნების უმაღლესი დანიშნუ-ლებაც სწორედ ეგ არის...

დიახ, დაიმსხვრევა და დაილეწება კერპ-მსახურთაგან აღგებული ტაძრები, სხვა და სხვა სარწმუნოებანი, განმტკიცდება ერთად ერთი მსოფლიო ტაძარი ხელოვნებისა, რომელშიაც შესული ადამიანი—რა კლასისა, რა წოდები-სა, რა პარტიისა, რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს, შვებას იგრძნობს და ნეტარებით წამო-იძახებს:—მე ადამიანი ვარ!..

**ვინ არის პასუ-ხისმგებელი?** კიდევ ერთი კვირით გადა-ხდა ქართული თეატრის სეზო-ნის გახსნა...

თითქოს გვიწყენს ვინმეო, გვეკრძალება სხვა-ზე ადრე დავიწყოთ საქმე...

დიდი ცხოველ-მყოფელობა ჰმართებს თეატრს, სათეატრო საქმეში ყოველი წუთი სიკვდილ-სიცოცხ-ლის გადამწყვეტია...

ეს კარგად იციან ჩვენის თეატრის მტრებმა, მოყვარეებს კი ვერ გაუთვალისწინებიათ...

დრამ. საზ. გამგეობამ თვენახევრით ადრე მოიწვია დასი, პირველი თვის რეპერტუარი ახალთ-ახალი მისცა რეჟისორებს, დასი გამალებით მეცა-დინეობს, რამდენიმეახალი პიესაც მოამზადა, გამ-გეობამ ორას თუმანზე მეტი ჩააყარა ამ მზადებასა და... საქმე კი ჯერ არ დაწყებულა.

მიზეზი?

მიბრძანდით ქართულ თეატრის ეზოში და იქ გაიგებთ: თეატრის დერეფანი თავის დროზე ვერ შეაკეთეს, ჭერები ვერ დახატეს, კასის გადატანა ვერ მოასწრესო,—ყოველივე გაჩანჩლულია, მხო-ლოდ ახლა ადგანან, დღე და ღამე მუშაობენ გაჩქა-რებით.

აქამდის სად იყვნენ, სად?

ვის ედება კისრად იურიდიული თუ არა, ზნე-ობრივ მაინც ვალი?

ვინ უნდა ზღოს გამგეობის ზარალი და და-სის მოცდენა?

ვინ არის პასუხის მგებელი?

**აღზრდის შედეგი.** ჩვენი ოჯახის სიკოტრე, უბადრუკი აღზრდის სიშიშვლე კიდევ ერთხელ გამოიფინა...

„სიმწიფის მოწმობის“ მომლოდინემ, მოქა-ლაქეობრიობის ატესტატის მეძიებელმა ხელი შეახო თავის აღმზრდელს...

შეურაცხჰყო ამხანაგები, ჩრდილი მიაყენა იმ დაწესებულებას, რომელშიაც 7—8 წელი-წადი დაიარებოდა, ჩირქი მოსცხო და გული ატკინა იმ ქვეყანას, რომლის შვილადაც, სამ-წუხაროდ, იგი დაიბადა...

და საქვეყნოდაც ამაყობს—სილა გააწნა სასწავლებლის გამგესაო... და იმდენი ვერც კი წარმოუდგენია, რომ სილა მისი მოხვდა მთელს გიმნაზიას, ყოველ პატიოსან მუშაკს...

ეს ამბავი მოხდა ქართულ გიმნაზიაში.

ჩვენ არ ვიცით რამდენად დაიმსახურეს გალახულთასეთი სასჯელი—ხელით შეხება, მაგრამ როგორიც უნდა იყოს მათი დანაშაუ-ლი მოსწავლეთა წინაშე, ასეთი შეურაცხყო-ფის ღირსნი მაინც არ არიან...

კარგად უნდა სცოდნოდათ მუშტიკრივის მოტრფიალეთა და „სიმწიფის მოწმობის“ მე-ძიებელთ, რომ ადამიანების ჩამომავალნი იყ-ვენ და ადამიანთ კი არ შეჰფეროდა მხეცური საქციელი... თვისის საქციელით ხომ თვალ-ნათლივ დაამტკიცეს თავიანთი უმწიფრობა, უნდილობა, მოუმზადებლობა:—თუ მომზადე-ბულნი იყვენ, ღირსნი ატესტატისა, მწიფობისა —რად ჩაიდინეს ასეთი ველური საქციელი, რომლის გათვალისწინებითაც კი კაცს ყალყზე დაუდგება თმა,—თუ არ იყვენ მომზადებულნი —ვის რაღას ედავებოდენ?!.

ნუ თუ ჰგონიათ, რომ მხოლოდ ატეს-ტატი ჰქმნის ორ-ფეხა სულიერს ადამიანად, ადამის ჩამომავალს—კაცად?!.

სად, რომელ საუკუნეში ვსცხოვრობთ?!

ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება უნ-და მიაქციოს საზოგადოებამ და დროზე უმ-კურნალოს... მშობელთა და აღმზრდელთა მო-ვალეობაა, უფრო მეტის ყურადღებით მოექცენ ნორჩი თაობის აღზრდას...

სამწუხარო მოვლენაა ამ შემთხვევის გა-მო ქართული გიმნაზიის მეშვიდე კლასის და-ხურვაც,—ორი-სამი უნდილ და განდევნილ მოწაფის ცოდვა ნუ თუ მთელმა კლასმა უნ-და ზღოს?!

ეს ხომ იმას ემსგავსება, მუშტიკრივის მოტრფიალეთა მსგავსივე გმირნი გამრავლდენ; სინათლის მეძიებელთ კარებს უხშობთ?!

სადთქმულია?!..

სკოლის გამგეს ბ. ალ. მდივანსა და მას-წავლებელს კილოსანიძეს მიუძღვით თუ არა რაიმე ბრალი,—ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც განიცადეს, ვსწუხვართ და ჩვენს ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ!.. დაე, ნუგეშად ისღა იქონიონ, რომ ცხოვრების ნარ-ეკლიან გზას ჰმარგლიან და ყოველ პატიოსანი მშრომელის ხვედრიც, უმეტეს შემთხვევაში, უგუნურთაგან შეურაცხყოფაა...

ვუსურვებთ მეტს სიმხნევეს?..

## პოეტს

უსულო-გულოდ ნუ დაჰკრავ თითს,
ოქროს ჩანგის ტურფა სიმებს;
დასწვი გული გრძნობის ცეცხლში,
დე ნუროდეს გაიღიმებს!..

როცა ცრემლი თვალს გიშრეტდეს, —
სთქვი: ღრუბელი სტირის ცაზე;
როს მოგესმას ბრძოლის გრგვინვა, —
არწივნი-თქო ჰქრიან მთაზე!..
სული ზეცასააფრინე,
განსპეტაკდეს აზრი წრფელი;
რაც გიყვარდეს, მოაქსოვე
გარს სიწმინდის სამოსელი!..
გრწამდეს ბრძოლის გამოწვევა
თვით სევდიან ხმებში არი; —
თვალს რომ ცრემლს გგვრის, გულსაც გვიძგერს
ნაღვლიანი, გლოვის ზარი!..

მაშ უსულოდ ნუ დაჰკრავ თითს,
ოქროს ჩანგის ტურფა სიმებს;
დასწვი გული გრძნობის ცეცხლში,
დე ნუროდეს გაიღიმებს!..

**ბ. ახოსპირელი**

## გახსენება თეატრის შესახებ

(გაგრძელება. იხ. «თ. და ც.» № 35, 36)

თბილისში თეატრის ხსენება არსად იყო, მაგრამ ახალგაზდა სემენარიელებს საღერღელი ჰქონდათ აშლილი, და ეძებდენ შემთხვევას, მაგრამ რა ექნათ, რომ სცენა არსად იყო. ამაგულიანეს ყმაწვილებმა. მუხრან-ბატონის ქვრივმა მისი სახლის ზალა მათხოვა სცენად გადასაკეთებლად. შეუდექით საქმეს, ფიცრები სატივეზე ვიყიდეთ სცენისათვის, და მოტანით რომ ძვირად არ დაგვჯდომოდა, ახალგაზდობამ მოზიდა ღამე ზურგით. დიდი ტანჯვის შემდეგ, წარმოვადგინეთ ჩემი პიესა „ძველსა და ახალს შუა.“ თეატრი გაიჭედა, მაგრამ შემოსავალმა მაინც ვერ დაჰფარა ხარჯი. და გაგრძელება ველარ შევძელით, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ნიკო ავალიშვილმა იწყო რაღაც ცოდვილობა, და ნემცების კლუბში მართავდა ხოლმე ხან და ხან ქართულ წარმოდგენებს და ქალების როლშიაც სახლობა გამოჰყავდა. ვითომ კიდევაც იყო და არც იყო სცენა!.. კახეთიდან ჩამოვიდა თბილისში საზამთროდ აბელოვის ოჯახი. ერთხელ სადილად ვიყავი მიწვეული მათთან. იმ დროში, დღეს რომ „მრავალ-ჟამიერია“ საქართველოში შემოღებული, უსიამო და საზიზღარი, რომელიც ზარს უფრო წააგავს, ვიდრე სალხინოს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული და სადილზე მოლხენის დროს კახური „მრავალ ჟამიერი“ შემოსძახეს. ზედაც სხვა და სხვა ხალხური სიმღერები დაურთეს და გაიმართა მამა—პაპური ლხინი. „ლხინის-პაპობა“ იმ დღეს დარჩა ერთს ახალგაზდას, 16—7 წლისას, დიასახლისის დისწულს: სიმღერა, სიტყვა - პასუხი, მიხვრა-მოხვრა, ხუმრობა და სხვანი, ყველაფერი შვენოდა იმ ღვთით კურთხეულს. რაფაელ ერისთავმა რომ თავისი შესანიშნავი ვოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება“ გადმოაკეთა ქართულად, სახეში ის ქალი ჰყავდა. „ამისი ძვლებიც კი ლაპარაკობენო“, ამბობს.—ნასადილევს, სხვათა შორის, შევეკითხე ახალგაზდას: ჯამაგირი რომ დაგინიშნონ არ გამოხვალთ ქართულ სცენაზე? მაგას ვინ ეღირსებაო! 15 მანეთი რომ ვიშოვო მე ჩემი შრომით მეტი არ მინდაო. ჩვენ საუბარს ყური მოჰკრა დიასახლისმა და იტკიცა!... კატო აბელოვისა სწორედ ნამდვილი ქართველი ქალი იყო; ბუნებითად ჭკვიანი და გულ-კეთილი, მაგრამ თეატრი კი იმ გვარად ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც სხვებს საზოგადოდ ჩვენში. და მიტომაც მომიბრუნდა და მითხრა! — თქვენ ხუმრობთ და მაგას კი შეიძლება მართალი ეგონოსო...

— როგორ თუ ვხუმრობ-მეთქი.

— აბა გასათხოვარ ქალის სცენაზე გამოჭენება ვის გაუგონია?

— და რაკი არ გაგვიგონია, აღარც უნდა გავიგონოთ? მაგრე ზიზღით რად უყურებთ თეატრს? — სარკეში იხედებით ხოლმე?

— მერე რაო რომ ვიხედები?

— რისთვის იხედებით?

— მისთვის რომ შიგა ვჩანვარ! და რაც არ მიხდება იმას გავისწორებ და რაც მიხდება, იმას დავეძებ. ეს კი, მაგრამ სარკეს რა ხელი აქვს ჩვენ საუბარში და რად გადავდივართ სარკეზე?

— მიტომ, რომ რაც ადამიანისათვის, კერძო პირისათვის სარკეა, ის მთელი ხალხისა და საზოგადოებისათვისაც თეატრია, რომ ქვეყანამ შიგ ჩაიხედოს, თავისი, როგორიც ნაკლი, ისე ღირსებაც დაინახოს და გასწორდეს. თეატრი ისივე შკოლაა ხალხისათვის, მომხიბლავი, გამასწორებელი და არა უბრალო, სასაცინო რამ საფუნდრუკო!..განათლებულ ქვეყნებში—სწორეთ ამ აზრით მართავენ თეატრს და ნაყოფიც კეთილი მოაქვს!..

— ჩვენში კი ჯერ მაგრე არ არის...

— და ხომ უნდა იყოს!

— მაშინ სულ სხვა იქნება, — დამეთანხმა მოხდენილის ღიმილით დიასახლისი. — ნეტავი კი მაგ დღეს მოვესწრებოდეთ, თვარა მაშინ არა თუ ჩემი დისწული, მეც კი გამოვალ სცენაზე, თუ საჭირო და სასარგებლო ვიქნებით. ჩვენმა ამ გვარმა საუბარმა დიდხანს გასტანა და ახლგაზდა ქალიც სიამოვნებით უგდებდა ყურს. მეორე დღეს მე ქუთაისს წავედი. ორი კვირის შემდეგ რომ მოვბრუნდი, ქართ. აფიშა შემხვდა ხელში. იქ აცხადებდნენ, რომ დღეს ქართული წარმოდგენაა და პირველად გამოდის სცენაზე მაკო საფაროვისაო. თუმცა დაგვიანებული იყო, ორი მოქმედება კიდევაც გათავებულიყო, მაგრამ მე მაინც წავედი. საფაროვის ქალს ისე ეჭირა თავი სცენაზე, თითქოს დიდი ხნის გამოცდილი მსახიობი იყოსო!.. პუბლიკა აღტაცებაში მოეყვანა და გაკვირვებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ყველაზე უფრო გატაცებული იყო დათიკო ერისთავი და კიდეც გადასწყვიტა, რომ მამისთვის მიებაძა და შეედგინა წრე სათეატრო. შეუდგა საქმეს. ჩამოიყვანა გურიიდან მეორე ნიჭიერი ქალი გაბუნია, დაიხმარა კორინთლის ქალი (ყიფშიძის მეუღლე) და გააჩაღა საქმე მით უფრო, რომ იმავე ტრუპაში გაჩნდნენ მართლა მოთამაშები, როგორც არიან ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი და სხვანი. — სწორედ მაშინ მათი წყალობით აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა. — ერთი წუნი თეატრის მხოლოთ ის იყო, რომ ბევრი მეთაური ჰყავდა. და სადაც ბევრი მეთაურია, იქ საქმე ყოველთვის უთაურია. ორი სეზონი კარგათ გაატარეს, მაგრამ მესამე სეზონი კი დაჰკარგეს: ის ერთი დღე, რომელიც კვირაში ერთხელ ეჭირათ ქართველ არტისტებს საზაფხულო თეატრში, ჩამოერთვათ და სხვა თეტარი აღარსად იყო.

(შემდეგი იქნება)

## ვით ნამი ყლორტზე—იცინოდი...

ჩემს ლექსს მღეროდი... ხმებად სთხზავდი, აქანდაკებდი...
ღიმილ-ქათქათით უგალობდი ცის საკურთხეველს!
ვით ნამი ყლორტზე—იცინოდი... სულ ხითხითებდი,—
რა ადგილი აქვს შენს გულ-მკერდზე მგოსანს ცრემლთ-მფრქვეველს?

*
* *

რად შეგიყვარე, ცავ, ბნელ ღამეს, რად მოგაშტერდი?
პეპელას—ბედკრულს რად მომიძლვენ ცისა ეთერი?—
სატრფოვ! მე მაგ ლექსს სულის თრთოლვით, ცრემლებით ვსწერდი
და შენ-კი მაგრე, უდარდელად, ღიმილით მღერი?!..

ი. გრიშაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დასავლეთ ევროპის ლიტერატურა

**ხანა კაპიტალიზმის აღყვავებისა**

(დასასრული III წერილისა. იხ. № 35)

გაზაფხულის გამოღვიძების ამ ფონზე, მასიურ მოძრაობის ამ სურათზე აშკარად მოსჩანს სამი ხატება—გამომსახველი სამი იდეოლოგიისა, რომელთაგან დღემდისაც ერთი მეორეს ექიშპება და ცდილობს მუშათა კლასზე გაბატონებას: რეფორმიზმი, სოციალიზმი და ანარქიზმი.

მარჯვნივ სდგას ყოფილი მუშა, ახლა ყავახანის პატრონი — რასენერი. იგი თანდათანობისა და მშვიდობიანობის მომხრეა. წვრილი ბურჟუა — იგი დამოკიდებულია თავის კლიენტ მუშებისაგან. ამიტომ იგი თავისდაუნებურად შუა გზაზე ჩერდება. იგი უმტკიცებს მუშებს, რომ შეუძლებელია ერთი დღის განმავლობაში ქვეყნის გადაშენება, რომ ყოველივე ძალდატანება კარგს ნაყოფს არ გამოიღებს, რომ საჭიროა რეფორმის მოთხოვა და ისიც იმ რეფორმისა, რომელთა განხორციელება შესაძლებელია.

მარცხნივ სდგას გაფრანგებული რუსი აზნაური სუვარინი. მუშათა შეთანხმებული მოძრაობაში იგი მდაბიო მოქალაქეობასა ხედავს. ინტერნაციონალის ამოცანა სისულელედ მიაჩნია, ინტერნაციონალის ორგანიზატორები — ეგოისტებად და პატივის მოტრფიალებად. მასსიურ რევოლიუციას იგი უპირისპირებს კერძო ტერორს; „ათი გამბედავი ვაჟკაცი მეტს იზამს, ვინემ მთელი ბრბო.“

რეფორმისტ რასენერსა და ანარქისტ სუვარინს შუა სდგას მრეცხავ ქალის ჟერვეზას შვილი ეტიენ ლანტიე.

ჯერ სახალხო ბანკის შესახებ პრუდონის იდეის მომხრე, შემდეგ ლასალის და წარმოების ასოციაციის შესახებ მის მოძღვრების თაყვანის მცემელი იყო ლანტიე. და ბოლოს, მან შეითვისა კლასობრივ ბრძოლის შესახებ მარქსის თვალსაზრისი და ამ შეხედულობით შეიჭრა დაბა მომსუს ვორიეს მაღაროებში და აქ „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის“ ავანპოსტი დაიჭირა.

ზოლას ბურჟუაზიული თვალსაზრისი არსად არ გამოსჭვივის ისე, როგორც ამ მუშა-სოციალისტის დასურათებაში. ზოლამ ეს პროლეტარ-აგიტატორი სუფთა წყლის ბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ ფსიხოლოგიით აღჭურვა. ეტიენს არ ამოძრავებს ამხანაგური გრძნობა და რევოლიუციონური ინსტინქცი. მისი მამოძრავებელია პატივმოყვარეობა და უფლების მოყვარეობა.

გამოუთქმელ სიამით ივსება მისი გული, როდესაც ფიქრობს, რომ გუშინდელი მემანქანე მოძრაობის შუაგული გახდება, რომ ცხოვრება მის გარშემო დაიწყებს ტრიალს. თვალწინ უდგებოდა პარიზი, სადაც მას დეპუტატად გაგზავნიდენ. დიდებულ ოთახში ტრიბუნიდან გააცამტვერებს იგი მუშის მიერ პირველად წარმოთქმულ სიტყვით მაძღარ ბურჟუებს. იგი სიტყვის ძალით დაიწყებს ხალხთა მართვას. შემდეგ დადგება დიდებული მომენტი მისი სიცოცხლისა. იგი ხელში ჩაიგდებს უფლებას და გადასცემს მუშათა კლასს. ამასთან ერთად, ეტიენი ამჩნევს, თუ როგორ შეხვდება იგი ამხანაგ-მუშებს, მისი გემოვნება თან-და-თან „სუფთავდება,“ მისი მოთხოვნილებანი თან-და-თან ფაქიზდებიან, მის და მეორე ამხანაგ-მუშათა შორის იზრდება თვალუწვდენელი ნაპრალი. იგი ფიქრობს მიატოვოს უბრალო მუშის პირუტყული ცხოვრება, დასახლდეს პარიზში, იქირაოს ცალკე ოთახი, შეუდგეს გონებრივ შრომასა და გახდეს პროფესიონალი-პოლიტიკოსი. ასე თვისდაშეუმჩნევლად ვითარდებოდა მასში სული იმ ბურჟუასი, რომელიც მას ასე ეჯავრებოდა. ეტიენი ანებებს თავს ვორიეს მაღაროებს, მუშათა წრეს! მაგრამ იგი სიტყვას სდებს „თავის პარლამენტურ სიტყვებით დიდებით შემოსოს ის ფიზიკურად მომუშავე, რომლის სიღარიბე ახლა მასზედ ასეთ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა“.

მაღაროს მუშების გაფიცვა, რომლის მიზეზი ეტიენი იყო, ისევე, როგორც სუვარინის-მიერ მაღაროების აფეთქება, არ დამთავრდა მუშათა კლასის გამარჯვებით; არ დაიმსხვრა ის კერპი, რომელიც იდუმალ თორაში ტახტზე ზის. თითქოს მასიური ბრძოლა და კერძო ტერორი უძლური გამოდგნენ კაპიტალთან ბრძოლაში. სოციალისტიც და ანარქისტიც თავს ანებებენ ვორიეს მაღაროებს და ბრძოლის ველი რეფორმისტ რასენერსა რჩება. რევოლიუციონურ ქარიშხალის დროს რასენერის სიტყვები, მუშების სიტყვით, „მშიშართა მისაძინებელი გამგრილებელი სასმელი იყო. ახლა კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხების შემდეგ, მას აღფრთოვანებით ხელით ხელს აგოგმანებენ. სოციალიზმს და ანარქიზმს თავს ანებებს მუშა და მშვიდობიანობის მოტრფიალეთა დროშას აფარებს თავს. ამასთან ერთად ყოველივე ძალდატანება ჰქრება.

ამგვარია რომანის წვრილ-ბურჟუაზიული ტენდენცია. ამის და მიუხედავად, დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში არ არის ნაწარმოები, რომელიც შეიძლებოდეს ზოლას „ნახშირის მადაროს მუშათ" გვერდში ამოუყენოთ. ზოლას ამ რომანში ძალიან კარგათ არის გადაშლილი მასიური ფსიხოლოგია და მასიური მოძრაობა.

თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილების დამსხვრევა და შრომის თანასწორობასა და თავისუფლებაზე დამყარებულ მომავალ საზოგადოების გამეფება ყველაზედ უკეთესად ვერჰარნს აქვს აღწერილი თავის დრამაში „ცისკარი."

ქალაქის კულტურის რკინის ფეხით გასრესილი სოფელი ნელა ლაფავდა სულს. გაძვალტყავებულ ველს ფლობდა სისხლით გაბრწყინვებული დედა-ქალაქი ოპიდომანი (დიდი ქალაქი). „სოფელნი, დაბანი—ყველაფერი უდაბნოდ იქცა." მესაკუთრე-გლეხთა უმრავლესობა დიდი ხანია გალატაკდა და ბოგანო მუშად გადაიქცა. არცა მესაკუთრეებმა გაუძლეს ქალაქის ქიშპობასა. დაავადებული მიწა ველარ ასაზრდოვებდა ველარც პურსა, ველარც სელსა. მოიჯარადრეთა დაქცევას ბოგანო-მუშები სიხარულით ეგებებოდნენ. „განიდევნენ ისინი, ვინც ჩვენ გაგვდევნა," — ხარობდნენ მუშები. ქალაქსა და სოფელს შორის მტრობა საშინლად ღვივოდა, „თქვენ რომ არა," — ეუბნებიან გლეხები ქალაქის მცხოვრებთ — „ჩვენი მოსავალი დიდებული იქნებოდა, ჩვენი საბძელი პურით სავსე იქნებოდა. თქვენ რომ არა, ჩვენი ქალწულები არ გახდებოდენ მეძავ ქალებად, ხოლო ჩვენი შვილები — ჯარის კაცებად."
— „თქვენ რომ არა," — უპასუხებენ მათ ქალაქის მცხოვრებნი — „ქალაქი ნერვიული იქნებოდა, მსუბუქი და მხნე. თქვენ მოხვედით მინდვრებიდან კერპი გაიძვერობით საცარცვავად და სავაჭროდ. განა თქვენ განსხვავდებით ავაზაკთაგან!" თვით ქალაქშიაც ღვივოდა კლასთა შუღლი. მთავრობისა და კაპიტალის შევიწროებით მოთმინებიდან გამოსულმა მუშებმა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა და ავენტინის მთაზე გაშენებულ ბარიკადებზე გამაგრდნენ. სამოქალაქო ომი გახურებული იყო. სწორედ ამ დროს უცხოელთა ჯარმა ქალაქს ოპიდომანს ალყა შემოარტყა. შიგნით კლასთა ბრძოლით გაძვალტყავებული, გარეთ მტრის-მიერ აკლებული ქვეყანა დაღუპულს გავდა. და აი, გაჩნდა ქვეყნის მხსნელი, სახალხო ტრიბუნი ერენიენი. დიდი ხანი ეწეოდა იგი ანტიმილიტარისტულ აგიტაციას. უცხოელი ჯარის მხედართმთავარი მისი მოწაფეა. ესენი, ორნი, გადასწყვეტენ ერთის ხელის მოქნევით ჩააზრჩონ ომი — შეთანხმებულ ძალმომრეობის ეს უმაღლესი განსახიერება — და მასთან ერთად სიძულვილისა და შუღლის ძველი ქვეყანა. მათი აგიტაცია მეტად გამოსადეგ ნიადაგსა ჰპოულობს და რამდენადაც ქალაქის ალყის შემორტყმის შემდეგ მეტი დრო გადის, იმდენად იზრდება ჯარისკაცთა უთანხმოება. ხშირად არ ემორჩილებიან უფროსებს, ჰკლავენ ოფიცრებსაც. ქალაქს გარს შემორტყმული სიმაგრეები ინგრევა; ზარბაზნებს პირს უკრავენ, თოფის წამალსა და ტყვიას წყალში ჰყრიან. ინიშნება დღე ოპიდომანის იერიშით აღებისა. ჯარის კაცები ამ დღეს განახლების დღედ აქცევენ. ისინი ჰყრიან იარაღსა — და გუშინდელი მტერნი დღეს ერთმანეთს ხელს ართმევენ. და ეხლა, როდესაც ძალმომრეობა უკუგდებულია, ყოველი კუთხის მუშანი, ხელიხელ ჩართული ჰგვიან პირისაგან მიწისა ძველი ქვეყნის ნაშთსა. იწვის მეზღვაურთა და არტილერთა კაზარმები. ინგრევიან ბანკები და ბირჟები. მიწასთან სწორდებიან ციხე-სატუსაღოები და ეკლესიები. წარსულის დამწვარ ნანგრევებზე ჯერ მრისხანედ სდგას სახელმწიფოს ქანდაკება (სტატუა). მას გარს შემოხვევია ბრბო უამრავი. ყოველის მხრიდან ისმის ამ სტატუის-მიმართ ლანძღვა გინება; ისვრიან ტალახს. ყვირილი: „ძირს" იზრდება, კეტებით შეიარაღებული მუშები ადიან კვარცხლბეკზე. „ინგრევა!" ისმის ბრბოს გუგუნი. ხალხის მხიარულ ყვირილთან ერთად ინგრევა ბუმბერაზი-ქანდაკება. მხოლოდ თავი, ცივი და მძლეთა-მძლე, მთელია. მუშები ბევრის წვალების შემდეგ აიტაცებენ მას ჰაერში და სახალხო ტრიბუნის ფეხთა წინაშე დაამსხვრევენ. მთელს მოედანს თავისუფლების ჰიმნი ეფინება. და ამ მოედნიდან, ცად აღწეული, ბედნიერ მომავლის მიმართ, განისმის სიტყვები წინასწარმეტყველისა:

„დაე, ახლა ცას გადეფინოს ცისკარი!"

(შემდეგი იქნება)

პეტრე დადვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევაზ გოგნიაშვილი

ჩვენი თანამემამულე, ორი წელიწადია პარიზის კონსერვატორიის საკომპოზიციო განყოფილებაში სწავლობს და მომავლისთვის კარგს იმედს იძლევა. ამ ჟამად მუშაობს სხვა და სხვა სამუსიკო პიესებზე. პარიზის ერთმა ფირმამ ახლახან გამოსცა მისი ერთი საკომპოზიციო პიესა ,,სევდა.'' განძრახვა აქვს დასწეროს ქართული ოპერა ,,გორის ციხე.'' მუსიკის მცოდნეთა აზრით, რევაზ გოგნიაშვილს მშვენიერი საკომპოზიციო ნიჭი აქვს.

ლ—ია

# ბუნება პოეზიაში

### ნაწყვეტები

... გენიოსი ბაირონი, სოფლის ვაებით გულ-დაკლული, ხშირის წამებით გულ-დათუთქული და თავ-განწირული ინდივიდუმი თავისუფლებისთვის ბრძოლის, ეს პესსიმიზმის ბუმბერაზი მეფე, მხოლოდ ბუნებაში პოულობს ნაშთს თავის სიხარულის. ჰკითხულობთ მის „ჩაილდ-ჰაროლდს", „დონ-ჟუანს", ჰკითხულობთ უკვდავ „კაენს" და „მანფრედს" და თვალწინ გეხატებათ მთელი ზღვა-გული ბაირონისა. სად, რაში პოულობს ბაირონი სიმბოლოს თავის სარწმუნოებისას?—ბუნებაშია ერთი ძალა ბაირონის სულის კვეთებისა.

ბარათაშვილის მოციმციმე ვარსკვლავი, ეს საუკეთესო მიმბაძველი ბაირონისა,—ბუნებაში პოულობს საგანს თავის ძებნისას, მოტივები ერთი და იგივეა. განსხვავებაა მხოლოდ გამოხატულებათა სიძლიერეში. ლერმონტოვი, ნადსონი, ყველა თავის და გვარად მიმბაძველია ბაირონისა. ტიუტჩევმა გააფართოვა ბუნებაზე პესსიმისტის შეხედულება, მთელი მისი პოეზია მშვენიერის, მელოდიურის ენით არის აკინძული, მთელი ძალა კი ამ პოეზიისა ბუნების აღწერაში; გამოიხატება.

ჩვენ ტიუტჩევი არა გვყოლია, ბუნების უმაღლეს წერტილამდე აღმწერელი პოეტი. მაგრამ ამის იმედს საკმაოდ იძლევა ახალგაზრდა მგოსანი გ. ტაბიძე. ამაში დამარწმუნა ტაბიძის მშვენიერმა ლექსებმა (იხ. „ფასკუნჯი", „თეატრი და ცხოვრ."). წაიკითხეთ პაწია, მაგრამ კოხტა ლექსი „ნიაღვარი". ნახეთ, რა წუნ-დაუდებელი აღწერაა ლექსის ერთ ნაწილში:

როცა მზე მწვერვალს გადმოანათებს
და სხივს დაადნობს თოვლიან მთაზე,
უკვდავებაა მაშინ მნათობის
მშვენიერება და სილამაზე;
მაგრამ, როდესაც აღქაფებული
ზვირთი გზას ურღვევს მომსკდარ ნიაღვარს,
ვინ გამოხატავს ამ მრისხანებას,
რა სული შექმნის სტიქიას ამ გვარს?..

ან და წაიკითხეთ ლექსი „დილა", სადაც პოეტი კატეგორიულად უცხადებს ბუნების სიმშვენიერეს და მრისხანებას:

მსურს ნაღველი საბოლოოდ
თქვენს უბიდან ამოვწოვო!

უფრო გადაჭრითაა გამოთქმული პოეტის აზრი ბუნებაზე ლექსში „მხოლოდ ბუნება":

რითმების გუნდი გარს მომხვევია,
სიკვდილი წყნარად მეჩურჩულება:
სულით ობოლო, შენ შეგითვისებს
მხოლოდ ბუნება, მხოლოდ ბუნება!

კარგი აღწერაა ბუნებისა ტაბიძის სხვა ლექსებში, როგორც მაგ. „ღამე", „ნიავი", „ფიქრი", „სასაფლაოზე" („ფასკ.") და სხ.

* * *

წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ნიჭიერი პოეტი ს. აბაშელი.. მისმა პირველმა ლექსმა („შავი აჩრდილი". იხ. ,,თ. და ც.'') საერთო ყურადღება დაიმსახურა. სწრაფად გაჩნდნენ მიმბაძველები. მის შემდეგ დაწერილ ლექსებს ზოგს ცხადად ეტყობა მეტის მეტ ეფექტის მოხდენის სურვილი. სურვილი სურვილად რჩება და მგოსნები კი სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან. რა ქმნან, არ ეხერხებათ!

აბაშელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა რაღაც ახალის და მშვენიერ ფიქრით ავსებს გულს. მე მინდა ერთ მხარეზე მივუთითო მკითხველ საზოგადოებას: ბუნების აღწერაზე პესსიმიზმის შემდეგ.

მომავალი დიდება ს. აბაშელის უეჭველია, თუ პოეტი ადრე არ მიანებებს წერას თავს. ამის თავდებია ის გავლენა, რომელიც მოახდინა მისმა ლექსებმა მკითხველ საზოგადოებაზე.

ვუსურვებთ წინ-სვლასა და წარმატებას ნიჭიერ მგოსანს.

**ნარი**

# ჩონჩხები

საბრალო ჩონჩხები! ნუ თუ სამარეშიაც არ ღირსებათ მოსვენება? სასაფლაოზე ვიდექ, ვხედავდი, როგორ უთხრიდენ სამარეს გარდაცვალებულს. ბედნიერი ხარ ამა სამარის პატრონო!—ვფიქრობდი მე. ვინ იცის, რამოდენი კვნესა აღმოხდენია შენს გულს? ვინ იცის, რა რიგ გტანჯავდა Cხოვრება, სულს გიხუთავდა ტანჯვა-ვაება, და აწ-კი განისვენებ სამუდამოთ. აქ, ამ ცივს სამარეში, ყოველივე თავს დაგანებებს, ველარას დაგაკლებს, შიმშილ-წყურვილი, ვერც ტანჯვა-მწუხარება ააკვნესებს შენს ოდესმე ყოველივეს მგრძნობ გულს. ბედნიერი ხარ, ბედნიერი! ბედნიერია ის ადამიანი, ვინც სტოვებს სიცოცხლეს და ბნელ სამარეში ჩაესვენება.

ამ გვარ ფიქრებით გატაცებული დავყურებდი სასაფლაოს. მესაფლავენი კი ღრმად თხრიდენ სამარეს, უეცრივ პაწაწა ხვრელიდგან გველი გამოცოცდა, ეტყობოდა მიცვალებულის ლეშით გამაძღარიყო. ფიქრები შემეცვალა. ეჭვი შემეპარა მიცვალებულთა ბედნიერებაზე. ნუ თუ ქვეწარმავალნი მტანჯველნი არ არიან მიცვალებულთა?

მესაფლავემ გველი მოკლა და ზევით ამოაგდო. ამავ დროს მეორე მესაფლავემ ადამიანის ჩონჩხები ამოისროლა მიწიდან.

ღმერთო ჩემო! განა ვერც სამარეში განისვენებენ ტანჯული ძვლები? ახლა ამოყარეს მიწიდან, შემდეგ ისევ ჩაყრიან, შესაძლოა რამოდენიმე წლის შემდეგ ისევ ამ ადგილს გაუთხარონ ვისმეს სამარე და ეს ჩონჩხები ისევ ამოყარონ მიწიდან. მწარედ ამოიგმინა ჩემმა გულმა, ვსთქვი: ტყუილად შევნატრით სიკვდილს, ვერც სიკვდილის შემდეგ განისვენებს ადამიანი, მას არც სამარეში მოასვენებენ; სხეულს მატლები და ქვეწარმავალნი დაუწყებენ ძიძგნას, ჩონჩხებს მესაფლავენი არ მისცემენ მოსვენებას.

მე შემძულდა სიკვდილი, შემძაგდა ბნელი სამარე. ისევ სიცოცხლე სჯობნებია სიკვდილსა, სიცოცხლეში ბრძოლა მაინც ძალ-გიძს, სამარეში კი ამასაც მოკლებული ხარ.

ისევ სიცოცხლე! გაუმარჯოს სიცოცხლეს!—გავიფიქრე მე და მოვსცილდი სასაფლაოს.

ჩონჩხები! საცოდავი ჩონჩხები!.! ნუ თუ სამარეშიაც ვერ ღირსებიან მოსვენებას!!!

**მიხეილ დაჩაგრული**

# ყვავილი

ბუჩქისა ძირას ყვავილი
ამბორს აკმევდა რხევითა,
სიოს ჰკოცნიდა, ლაღობდა
გულმკერდის გადაწევითა;
მონავ, ნუ ჩაგიქინდრია
თავი, ასწივე ზევითა!

**კიკნა—ფშაველა**

,,მირრა ეფროსი''

**შესანიშნავი პიესა (4 მოქ.) იაკობ გორდინისა უკვე სთარგმნა ვალ. გუნიამ.** ამ ახალ პიესას ამერიკის თეატრთა რეპერტუარში მთავარი ადგილი უჭირავს. პიესა პეტერბურგშიაც ითამაშეს ებრაულად რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. იგი საერთო ყურადღებას იმსახურებს და, აი, როგორ იხსენიებენ გაზეთები:

,,**ფოლკსცეიტუნგი**'' (ნიუორკის გაზეთი) სწერს: ,,პიესა „მირრა ეფროსი“—თვით სინამდვილეა, თვით რეალიზმი. ავტორს სულ უბრალო ხაზითაც კი არ დაურღვევია სცენიურ მოქმედების თანშეწყობილება, შეთანხმება. პიესის ენა, დიალოგი—უსრულესია. მთელი პიესა, განსაკუთრებით მთავარი როლი, ისეთი გულწრფელობით არის გამსჭვალული, ისეთი ძლიერის დრამატიზმით, როგორიც მხოლოდ ჭეშმარიტ ტალანტს შეუძლია.,,

,,**ჰეროლდი**'' (ნიუიორკის გაზეთი):'' ძნელად თუ მოიპოება თანამედროვე რეპერტუარში მაყურებელთა სულისა და გულის დამატყვევი, ამაღელვებელი პიესა, როგორიც ნიჭიერ დრამატურგი იაკობ გორდინის „მირრა ეფროსია“. ავტორს შეს-

წევს ჯადოსნური, იდუმალი ძალა, რომლითაც მთლად გაწაფულ-მეპყრობილი ჰყავს მაყურებელი. პიესის მთავარი ძარღვის გულწრფელობა და სითბო ერთთავად გათრთოლებით და სათნოებით გავსებთ. ცრემლი, რომელსაც მაყურებელში იწვევს, მელოდრამატიული და ალტყინებისა არ არის, არამედ ჭეშმარიტ დრამატიზმის უმაღლეს განცდათა შედეგი. ამისთანა პიესები თითქმის არ მოიპოვება თანამედროვე რეპერტუარში.

**„თეატრი და ხელოვნება“** (პეტერბურგის ჟურნალი): ,,ჩვენ ვნახეთ „მირრა ეფროსი“, —სწერს ცნობილი კრიტიკოსი ა. კუგელი, —და უნდა ვსთქვათ, რომ შესანიშნავი პიესა ი. გორდინის, რომელსაც შესამჩნევი ლიტერატურული ღირსებანი მოეპოვება. ავტორმა ძლიერ ხერხიანად, ზნეჩვეულებათა და პსიხოლოგიურის მხრივ სინამდვილით, დაგვისურათა ებრაულ ოჯახის ისტორია. აი, პიესა, რომელიც საჭიროა რუსულადაც გადითარგმნოს.“

როგორც ვსთქვით, ეს პიესა უკვე გადათარგმნა ქართულად ვალ. გუნიას მიერ და მოკლე ხანში დაიდგმის კიდეც ჩვენს თეატრში.



† ელენე კონსტანტინეს ასული ჩხეიძე

4 სექტემბერს საღამოს 9 საათზე დ. ხონში გარდაიცვალა სცენის მოყვარე ელენე კონსტანტინეს ასული ჩხეიძე. განსვენებული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხონის სცენის მოყვარეთა მუდმივ ჯგუფში ირიცხებოდა. იყო ცქრიალა, სიცოცხლით სავსე, კეთილი და დაუღალავი. ე. ჩ-ძე დიდ სასცენო ნიჭს არ წარმოადგენდა, მაგრამ საქმისადმი კეთილსინდისიერი მოკიდებით და დაუღალავი, ენერგიული მუშაობით მან დაიმსახურა პატივისცემა და საერთო სიყვარული. ამ სათნო ადამიანის სიკვდილით ხონის სცენის მოყვარეთა ჯგუფმა დაკარგა უანგარო მუშაკი, ხონის ინტელიგენტთა ჯგუფმა კი პატიოსანი ადამიანი და ღირსეული წევრი. განსვენებული დაასაფლავეს 8 სექტემბერს. დასაფლავებას დიდ ძალი ხალხი დაესწრო. კუბო შემკული იყო უთვალავ ცოცხალი ყვავილებით და რამდენიმე გვირგვინით. სხვათა შორის, გვირგვინი იყო ხონის დრამატიულ ჯგუფის გამგეობისაგან, მეგობარ და ამხანაგ ქალებისაგან და მრავალ კერძო პირთაგან.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო და კარგო ადამიანო!

**ჭარი**

# მიმიკა

(გაგრძელება „თ. და ცხ.“ № 35)

## IV

### სიარულზე

საკმაოდ ძნელია სცენაზე ხეირიანი სიარული, მეორეს მხრივ აგრეთვე ძნელია, ვიტყვი მეტს—შეუძლებელია, ასწავლო მსახიობს კარგად სიარული.

არიან მსახიობნი, რომელთაც პლასტიკა იმდენად განვითარებული აქვსთ, რომ ისინი სცენაზე შესანიშნავად დადიან, და არასოდესაც არ ფიქრობენ ამაზე. მაგალითად: ინგლისში, საფრანგეთში, მოსკოვის სამხატვრო თეატრში, ჩვენში საუკეთესო მსახიობსაც-კი არა აქვს არავითარი პლასტიკა. შესაძლებელია შესამჩნევად გაისწოროთ ეს ნაკლი; ამისთვის ერთად ერთი საშუალებაა, ეს ის ვარჯიშობა, რომელზედაც ჩვენ დასაწყისში ვილაპარაკეთ, და საერთოდ გიმნასტიკა, ყოველნაირი გიმნასტიკა; კარგია აგრეთვე ბევრი სირბილი, როცა დრო გაქვსთ, ირბინეთ, რამდენიც გნებავდესთ. რაც შეეხება დანარჩენ დამახასიათებელ სიარულს, ამაზე ვიტყვით იმას, რაც დასაწყისში ვსთქვით: განზე გაწევა და მოკაკვა განჭების (ფიგურები 6, 7).



ფიგ. 14

თუ გინდათ აჩვენოთ საზოგადოებას, რომ ტალახში დასდიხართ, უნდა იაროთ ფეხის წვერებზე, და ფეხი უნდა მძიმედ დაუშვათ მიწაზე, თითქოს გეშინიანთ არ წაიქცეთ, და გინდათ აარჩიოთ კარგი ადგილი. იცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში სხეული დაბჯენილია წინა ფეხზე. (ფიგ. 14)

**ფეხ-აკრეფით** სიარული უნდა აგრეთვე ფეხის წვერებზე მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ

ტანი წინა ფეხზე უნდა დაებჯინოს მარტო მაშინ, როცა წინა ფეხი დედამიწაზე სრულიად სდგას. ამასთანავე, იმის მაგივრად, რომ იხედებოდეთ მიწაზე, როგორც მე 14 ფიგურაში,—ახლა უნდა იხედებოდეთ იქითკენ, საითაც მიდიხართ, ანუ უფრო სწორედ—იმ წერტილისაკენ, სადაც უნდა მიხვიდეთ (ფიგურა 15).



ფიგ. 15

შესვლა, გასვლა, გარდი-გარდმო სიარული და სხვა, სცენაზე იმდენად ბევრი და სხვა და სხვანაირია, რომ მათი სწავლა შეიძლება მხოლოდ რეპეტიციების დროს.

აი, როგორ ვარჯიშობას გირჩევთ. ამ ვარჯიშობას აქვს მიზნად გაგიადვილოთ სცენაზე მოძრაობა. უნდა თავისუფლად, მარჯვედ გრაციოზულად მიხვიდ-მოხვიდეთ ყველა მიმართულებისაკენ.

„ეს ვარჯიშობა მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ თავი უნდა დაუკრათ ყველა იმ ავეჯს, რომელიც შეგხვდებათ თქვენს ოთახში, გზაზე. მხოლოდ მუდამ დღე უფრო ძნელი ამოცანა უნდა აკეთოთ, ე. ი. უფრო არეულ-დარეულად უნდა დაალაგოთ ავეჯი; ეს ვარჯიშობა უნდა აკეთოთ იქამდის, მანამ არ მიაღწევთ თავისუფლად ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე მისვლას, რომელიც პირველის პირდაპირ არის''. (ჟაჰან)

გირჩევთ ეს ვარჯიშობა, და საერთოდ ყველა ვარჯიშობანი აკეთოთ მუდამ დღე, და მთელი თქვენი სიცოცხლე. ჯერ ერთი ეს ჯანმრთელობისთვის შესანიშნავია, და მეორეც ყველა ღირსება, რასაც გიმნასტიკა შეგძენთ, ბოლომდის გაგყვებათ.

როცა ამ ვარჯიშობას შეუდგებით, მაშინ უფრო ნათლად ჰნახამთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თქვენი ტანი მარტო ერთს ფეხზე იყოს დაბჯენილი, ასეთი მდგომარეობა, ვიმეორებ ერთხელ კიდევ რადგან ამას დიდი მნიშვნილობა აქვს,—მოგცემთ ნებას ყოველთვის თავისუფლად და გრაციოზულად დაიძრათ ადგილიდან.

რაც შეეხება სირბილს, ხტუნვას, ცეკვას, ამაზედ აქ მხოლოდ შეგვიძლიან ვურჩიოთ მსახიობებს, ყველა ეს მოქმედება აკეთონ ფეხის წვერებზე.

როცა დასაჩოქად ორივე მუხლს ერთად ჰკაკავთ, მაშინ მიწაზე ეშვებით ხმაურობით, რადგან თანასწორობა იკარგება. ეს მაშინ არის კარგი, თუ გინდათ კომიკური ეფექტი მოახდინოთ, ისე ფრთხილად, არ წაიქცეთ.

როცა თქვენთვის საჭიროა გრაციოზულად დაჩოქვა,—უნდა გადადგათ წინ ერთი ნაბიჯი: ანუ სწორედ წასწიოთ ერთი ფეხი წინ, დააბჯინოთ მთელი თქვენი ტანი წინა ფეხს (მეორე ამ გვარად სრულიად თავისუფლად მოქმედობს) და გქონდეთ დაბჯენილი წინა ფეხზე სხეული იქამდის, მანამ მეორე მუხლი სავსებით არ მიეკარება იატაკს (ფიგურა 16).



ფიგ. 16

რაიმე საგნის ასაღებად მიწიდან, თუ ორივე მუხლების ერთად მოჰკეცავთ, შეიძლება მოხდეს, რომ წაიქცეთ, და თუ ამას გადარჩით, ძალიან ულამაზო მდგომარეობა გექნებათ, განსაკუთრებით ქალს, თორე აბა კარგად შეჰხედეთ მე 17 ფიგურას.



ფიგ. 17

პირიქით უნდა იმოქმედოთ ისე, როგორც დაჩოქებისთვის, ე. ი. მთელი თქვენი სხეული დააბჯინოთ წინა ფეხს. (ფიგურა 18).



ფიგ. 18

გიორგი ჯაბადარი

ბრიუსელი (ბელგია)

# ყრუ სოფელში

სცენები სამ მოქმედებად სოფლის ცხოვრებიდან

**მოქმედება მესამე**

მოქმედება სწარმოებს ნიკოს სახლში, ზევით-ქვევით მოუგებელ პატარა ოთახში, რომელიც სამზარეულოზედ არის მოდგმული. ორი ტახტი დგას: ერთი მარცხნივ და ზედ წევს ავადმყოფი ნიკო; მეორე მარჯვენა მხარეს უკანა კედელზედ არის მოდგმული. ოთახს ერთი პატარა ფანჯარა აქვს. ოთხიოდე ტაბურეტის სკამი და პატარა მაგიდა, რომელზედაც სწამლეს შუშა, კოვზი, ფინჯანი და პატარა ჭიქა აწყვია.

I

**ნიკო, მაიკო, ნუცა და დათიკო.** ნიკო წევს და სწუხს. ნუცა და დათიკო მარჯვენა მხარეს, კუთხეში მიყუჩულან და დაშინებულნი გამოიცქირებიან.

**ნიკო.** (ძალა მიხდილი) აჰ, აჰ, აჰ... მოვკვდი... ამომხდა სული.

**მაიკო.** (შეწუხებული) რა არის, შე უბედურო?.. რა შავი ქვა და უბედურება გაუჩნდა შენს მტერს, რომ ერთი წუთითაც კი არ მოგასვენა?!.

**ნიკო.** (კვნესით) მოვკვდი, დავიწვი...

**მაიკო.** აი, ღმერთმა დაწვას და დააქციოს შენი ასე მომქცევის სახლი და კარი.

II

იგინივე, **პეტრე და სიმონი**

**პეტრე.** აქა მშვიდობა!

**სიმონ.** გამარჯობა, მაიკო!

**მაიკო.** იცოცხლეთ, ჩემო ბატონო! (სიმონი და პეტრე ნიკოსთან მიდიან)

**სიმ.** რას შვრები, ნიკო, როგორა ხარ?

**ნიკო.** რა... რა ვიცი... ვკვდები...

**პეტ.** ნუ გეშინია, ნიკო! ღმერთი მოწყალე არის და როგორ იქნება, რომ მოგიძულოს წვრილი ცოლშვილის მარჩენალი კაცი.

**სიმ.** (მაიკოს) ცოტაოდენი მაინც არ მოიხედა?

**მაიკო.** მერე სად არის, შენ გენაცვალე, თუ მოიხედა?.. მოიხედა კი არა—უფრო უარესად გახდა.

**პეტ.** აწი რა უნდა იყოს ასეთი, რომ ხეირიანად ვერც კი გავიგეთ?..

**მაიკო.** რა ვიცი რა არის. გუშინ მარჩიელთან ვიყავი და ანაყოლი არისო, მითხრა.

**სიმ.** რაღაც არის, ცუდათ კი მოაქცია ეს კაცი და...

III

იგინივე და **ფროსიკო**

**ფროს.** კიდევ გამარჯობა თქვენი! (ყველანი სალამითვე უპასუხებენ) საჭმელი ოუ რამე ჭამა, მაიკო?

**მაიკო.** მეტათ არის შენი მტერი და დამაწყევარი... საჭმელი თუ ეჭამა, რა მიჭირდა, ცოტათი სულს ჩაიბრუნებდა.

**ფროს.** მარჩიელი კიდევ არ მოვიდა?

**მაიკო.** ჯერ არა. დაიგვიანა და სონა გავარბეინე, რომ დააჩქარებიოს.

**ფროს.** არ დაიჯერე, ჩემო მაიკო, თორემ დარეჯანისათვის რომ გამოგველოცნია უკეთესი იქნებოდა. ალათიამ მარჩიელობა კარგი იცის, მაგრამ გამოლოცვას კი, მაინც და მაინც, არ უქებენ. ჩვენს კუთხეში გამოლოცვაში დარეჯანას ცალი აღარა ყავს.

**მაიკო.** დარეჯანა მეც კი მინდოდა, მაგრამ ალათიმ თვითონ მითხრა,—მე მოვალ და გამოვულოცავო, და აბა უარი როგორ მეთქვა. (ფანჯარაში გადაიხედავს) აი, ალათიც მოდის.

**ფროს.** თუ კი ასეა, ეხლა არაფერი გაეწყობა, მაგრამ მარტო მაგის გამოლოცვას ნუ დაჰენდობით, დარეჯანსაც გამოვალოცვიოთ.

IV

იგინივე და **ალათი**

**ალათი** აქა მშვიდობა და კარგად ყოფნა!

**ყველანი**. იცოცხლეთ, ბატონო!

**მაიკო**. ამდენი რათ დაგაგვიანდათ, ალათი?

**ალათი**. (ავადმყოფისაკენ მიდის) ვერ ავიშვი თავი. ხან ერთი მოვიდა ხან მეორე; ზოგს რჩევა უნდოდა, ზოგს ანაყოლის გამოლოცვა და იმათ შევრჩი. ეხლაც ბარე ორი დავტოვე სახლში,—მიცდიან. (ნიკოს) შემომხედე, ნიკო! ვერ მცნობ?

**ნიკო**. აჰ, აჰ... მომეხმარეთ, მიშველეთ!

**ალათი**. ნუ გეშინია, ღმერთი გიშველის, ჯერ ერთი გამოგილოცო. (მაიკოს) აბა, დროზე შეუდგეთ საქმეს, თორემ მეჩქარება; ერთი საინით წყალი მომიტანეთ... მართლა ნამაბახის მიწა ხომ გაქვთ მოტანილი?

**მაიკო**. კი. როგორ არა, ყველაფერი მზადა მაქვს; ეხლავ მოგართმევ. (საჩქაროთ გადის და წუთის შემდეგ უკან ბრუნდება: ხელში ქაღალდში გახვეული მიწა უჭირავს)

**პეტ.** აბა, შენ იცი, ალათი, თუ რამეს მოეხმარები. ჩვენ თუ ვერ შევსძლეთ სამაგიერის გადახდა, ღმერთი გადავიხდის.

**მაიკო.** ჰა, შენი ჭირიმე მიწა.

**ალათი** (მიწასართმევს) რა თქმა მინდა, პეტრე, მე თვითონ სულით და გულით მონდომებული ვარ. (მაიკოს) შეუდგეთ საქმეს.

**ფროს.** საინით წყალი დაგავიწყდა, მაიკო?

**სონა.** ამ წუთში. (მიდის და წუთის გასვლამდე ბრუნდება წყლიან საინით)

**ალათი.** (საინს გამოართმევს და მაგიდაზე ჩამოდგამს; ქაღალდს გახსნის და მიწას მიტკლის ნახევში გამოკრავს, ჩადებს საინში და დაიწყებს ლოცვას; ერთხანს თავისთვის ჩურჩულებს, შემდეგ ამოიღებს გამოკრულ მიწას, დაიჭერს ნიკოს თავის პირდაპირ და ხმა მაღლა ლაპარაკობს) თუ ნიკოს გაუშვებ, შენც გაგიშვებ; თუ ნიკოს გაუშვებ, შენც გაგიშვებ; თუ ნიკოს გაუშვებ შენც გაგიშვებ. გაუშვი და გაგიშვებ; გაუშვი და გაგიშვებ; გაუშვი და გაგიშვებ. თუ არ გაუშვებ არც შენ გაგიშვებ. (მაიკოს მიუბრუნდება) აბა, მოაშხურე ეხლა ეს შენალოცავი წყალი.

**მაიკო.** შენ მოაშხურე, შენი ჭირიმე, შენ უფრო იცი.

**ალათი.** კი ბატონო! შენ მომიტანე ერთი ღერი წმინდა ცოცხი.

**მაიკო.** ცოცხს ეხლავ. სონა, გადი გოგო, და მოიტანე.

**სონა.** ეხლავ. (მიდის)

**ფროს.** ხომ არ დავალევინოთ ცოტა გამოლოცვილი წყალი, ალათი?

**ალათი.** დასალევად ცალკე გამოვლოცავ, მაგრამ ჯერ წყალს მოვაშხურებ.

V

იგინივე და **სონა** (შემობრუნდება)

**სონა.** (აძლევს ცოცხს) ჰა, ალათი!

**ალათი.** (გამოართმევს ცოცხის ღერსა, ამოავლებს გამოლოცვილ წყალში და აშხურებს ყოველ მხარეს; შემდეგ ნიკოსაც მიაშხურებს) ახლა, მაიკო, შეინახე ეს წყალი და დღეში სამჯერ: დილას, შუადღისას და საღამოს მოაშხურე. (მიტკალში გამოკრულ მიწას კი ნიკოს უდებს სასთუმალს ქვეშ) ეს მიწა კი აქ იყოს.

**მაიკო.** კი, ბატონო.

**ალათი.** ეხლა კი ერთი ჭიქა წყალი მომიტანეთ და დასალევ წყალს გამოულოცავ.

**სონა.** მოგართმევ ამ წუთას. (მაგიდაზე აიღებს ჭიქას და წყლით აავსებს) ჰა, ალათი!

**ალათი.** გამოართმევს და უჩურჩულებს. ცოტა ხნის ჩურჩულის შემდეგ) აბა, დავალევინოთ ერთი კოვზი.

**მაიკო.** კი, შენი ჭირიმე, დავალევინოთ! (აიღებს კოვზს; ალათი ჭიქას მიაწვდის, მაიკო ამოიღებს ერთ კოვზს წყალს და ნიკოს მიუბრუნდება) გამოიხედე, ნიკო, დალიე შელოცვილი წყალი.

**ნიკო.** (პასუხად კვნესის) აჰ, აჰ, აჰ...

**მაიკო.** გამოიხედე, შე უბედური დღის შვილო; პატარა მაინც მოსვი, იქნებ ღმერთმა მოგხედოს და ცოტა მოგიხდეს.

**სიმონ.** მისწი ის კოვზი ტუჩთან და დალევს.

**მაიკო.** (თავს ცოტად ზევით წამოუწევს და ასხამს პირში) ნახევარი დამაქცევინე და რა გამოვიდა...

**ალათი.** არა უშავს, ეხლა ნახევარიც ეყოფა, მხოლოდ ხშირ-ხშირად კი დაალევინე.

**მაიკო.** კი ბატონო; როგორ არ დავალევინებ, ნეტავ რამეს წაარგებდეს თორემ.

**სიმონი.** (პეტრეს) პეტრე, თუთუნი გექნება შენ კარგი.

**პეტ.** თუთუნი კი მაქვს, მაგრამ სიკარგის რა მოგახსენო, მაინცა და მაინც ვერაფერი შვილია.

**სიმონ.** ძველად ძაან კარგი თუთუნი ვიცოდი, მაგრამ ეხლა რაღაც არ დგება ხეირიანი.

**პეტ.** (დაწნულ თუთუნს ამოიღებს და სჭრის) თუთუნის საქმეც უკან-უკან მიდის და სხვისაც, ჩემო სიმონ. (აწოდებს დაჭრილ თუთუნს)

**ალათი.** (მივიდა და ნიკოს აკვირდება) ოჰო, შეხედეთ!.. აბა თუ არ მოუხდა შელოცვა. თვალები მოეწმინდა... შელოცვამდე კი რას უგავდა თვალები? გაგიჟებულივით აცეცებდა. (მაიკო და ფროსიკო სიხარულით გადახედავენ ნიკოს)

**მაიკო.** იქნებ მომხედოს მეუფემან და არ წამართვას ამ კაცის თავი.

**ალათი.** აბა, რა გეგონა?.. ანაყოლს თუ კარგად არ გამოულოცე, ისე როდი გაუშვებს ხელს...

**ფროს.** შენ შეგეწია ღმერთი, ჩემო ალათი, ცოტა იმედი მოგვეცი.

**ნიკო.** (მაგრად ამოისუნთქავს და ახველებს) ეჰ... მწყურია... ცივი წყალი... პირი გამომხმარი მაქვს.

**მაიკო.** (გახარებული) ეხლავ, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი, ეხლავ.

**სონა.** ეხლავე! (საჩქაროთ გამოარბენინებს ჭიქით წყალს და მაიკოს აწვდის)

**ალათი.** ერთი კოვზი გამოლოცვილი წყალიც ჩაურიე, მაიკო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფროს.** კი, კი. კარგი იქნება.

**მაიკო.** კი, ბატონო!

**ალათი.** (ამოიღებს ერთ კოვზს შელოცვილ წყალს და ჭიქაში უსხამს მაიკოს) ჰე, ეხლა დალევინე.

**მაიკო.** ფრთხილად წამოუწევს ზევით თავს და ასმევს)

**ალათი.** ღმერთო, შენ არგე შაქრად და წამლად.

**სიმონი.** (ნიკოსთან მიდის) რას შვრები, ნიკო, ხომ უკედ ხარ?

**ნიკო.** ეჰ... რა ვიცი... ღმერთმა იცის.

**პეტ.** (ესაც მივა) აბა, მე შემომხედე, ნიკო, თუ მიცნობ?

**ნიკო.** (თავს მიიბრუნებს) როგორ ვერ გიცნობ... პეტრე ხარ.

**სონა.** (აღფრთოვანებული) მობრუნდა კაცი! ამ დილაზე ცნობა სრულიად დაკარგული ქონდა.

**ალათი** (ამაყათ) აბა, რა გეგონე, გოგო? დარეჯანა ხომ არ გგონივარ?.. გამოლოცვა ვიციო, იძახის, მაგრამ რომელი ნახეთ, რომ მისი გამოლოცვით მორჩენილიყოს?.. მე კი ერთიც არ მინახავს და.

**ფროს.** (დარეჯანის ხსენებაზე უსიამოვნოთ დაიღრიჯება) მაგას რისთვის იტყვი, ალათი? გამოლოცვა დარეჯანამაც კარგი იცის.

**ალათი.** (წყენი) რაო, რაო, ფროსიკო?.. შენ ლაპარაკობ დარეჯანამ კარგი გამოლოცვა იცისო?!. ორმოცჯერ კი გამოულოცა ცხონებულ შენს ქმარს, მაგრამ სად არის თუ მოუხდა?!..

**ფროს.** (ქმრის ხსენებაზე ტანში ჟრუანტელი დაუვლის) ჩემი ქმარი ვერ გავიგეთ რითი იყო ავათ. ჩვენ ანაყოლი გვეგონა და ნამდვილად კი ნათვალებით ყოფილა ავად. ნათვალევს ანაყოლის გამოლოცვა რას გამოადგებოდა.

**ალათი.** ნათვალები კი არა, ის არ გინდა ეხლა?!. ისიც ანაყოლი ქონდა, მაგრამ არ ალირსე კარგი გამოლოცვა და სწორედ იმისთვის იყო, რომ დამრჩი თვალებჩამოლლეტილი.

**ფროს.** (წყენით) რა არის, შე კარგო ქალო, ამისთანა მოწამლული ენა რომ გაქვს.

**ალათი.** მოწამლული ენა კი არა, მე მართალს გელაპარაკები. დარეჯანამ გამოლოცვა არ იცის, ატყვილებს ხალხს. აბა რომელი ნახე, რომ ჩემი გამოლოცვით არ მორჩა?.. მე რომ გამოულოცავ, სულ განწირული რომ იყოს ღვთისგან, მაინც მორჩება.

**სიმონ.** იმას კი ვერ ვიტყვი, ჩემო ალათი, რომ გამოლოცვა ცოტას მაინც არ არგებდეს ავადმყოფს, მაგრამ კაცი თუ გაწირულია, იმას ვერც გამოლოცვა იხსნის და ვერც სხვა რამ.

**ალათი.** (შეეტოქება სიმონს) მაგას ნუ იტყვი, სიმონ! კარგი და მიმხდური გამოლოცვა სწორედ მისწრებაა.

**მაიკო.** გამოლოცვა სწორედ დიდი საშუალებაა კაცისთვის.

(სონას ცხვირს დაასცემინებს)

**ალათი.** (უფრო ამაყათ) აი, ცხვირმაც კი დაამოწმა, შელოცვა რომ არ იყოს, აქნამდე ნახევარი ხალხი ამოწყდებოდა.

**პეტ.** რა იცი კაცმა რა არის და რა არა. ყოველივე ღვთის საქმეა, დაილოცა მის ძალა და დიდება.

**ივ. ჭავჭანიძე**

(შემდეგი იქნება)

## სიკვდილს არავინ გადურჩება

(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 36)

5

მართლაც, სად მიდიოდა იგი? ამდენი წლობით გაჭირვება, დაკლება, თავდავიწყებული სიშმაგე მსხვერპლად შესწირა იმ ტახტს, იმ დიდბულს ცხოვრების თავისუფლებას, რომელიც ისე, შორს, მიუწდომელი გამოდგა. **ის** დაბერდა, მოიქანცა, დაჰკარგა ყმაწვილური სიჭაბუკე. მაღალ ხიდან ყვავმა დასჩხავლა, ყორანმა ბანი მისცა და უკუქცეული ბგერანი წყეულის დუეტისა მის გულის გასაგმირად დამზადებულ ტყვიასავით მოხვდა: „აგერ მოდის ბებრუცუნა, გიჟია და შმაგიო, „ყვაა, ყვაა!“ და პატარად ქცეული აჩრდილი ბუტბუტებდა: „დავბერდით, ჩემო ყველავ, გვეყო სიყმაწვილეო.“ სევდამ აიტანა **ის**, პირველად დაფთხა **იგი**, გამბედაობა დაეკარგა. მოიხედა, და თავის აჩრდილი რა დაინახა, გული გაეგმირა, შიშის ზარი დაეცა. ბოროტი ეჭვი შეეპარა **მას** და სულ ერთიანად დაიძაბუნა. დაკნინდა, მისი სული დიდს, უზარმაზარ კლდეს მოხვდა და საცოდავად დაიმსხვრა; ერთი საშინლად დაიღრიჯა, ნაბიჯი ველარ გადასდგა. **მისი** თვალი გახამხამდა და **იგიც** წაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსწრაფლ მოვიდნენ ტურანი და მგელნი, მოფრინდა მრავალი გუნდი ყვავთა და ყორანთა, ახმაურდა ტყე. დიდი ტახტი-კი ისევ შორს იყო, ისევ ისე მედიდურად დაჰყურებდა ბარს და მოხუცსაც ხომ დასცინოდა. **იგი**, წაქცეულიც არ შეიბრალა, რათა დაემტკიცებინა მთელი თვისი სიდიადე, მთელი თვისი უპირატესობა **მის** წინაშე, ეჩვენებინა რომ **ის** კნინი იყო და თვით ბუმბერაზი და როდესაც საწყალი მოხუცი წამოდგა, პირი თავის ოთხად მოკაკულ აჩრდილისაკენ მიიბრუნა, ერთ ბოროტად გაიღრიჭა და მოუალერსა მას, **თვით** გაუდგა დღმართისაკენ და აჩრდილი გაქრა, როცა ქაობი მოაგონდა და თავის ბაყაყთა ნახვა მოიწადინა, უდიდესმა სიძლიერემ ზეცით სეტყვა წარმოგზავნა და **იგი**, უზიარებელი ყორების ქვეშ შთანთქა, დალუპა. და გაისმა ხმა მრისხანე და მედიდური, თვით სეტყვაზედ უარესი: „სიკვდილს არვინ გადურჩება, არც დიდი — არც პატარა“ და **ის**, მტვრად ქცეული, წინ აღარ მიდიოდა.

(დასასრული იქნება)

---

ბიბლიოგრაფია

Poésies par Sazan d'Ary

(**ლექსები** მგოსანი ქალის — „**საზანდარი**“-ს ჩვენს ჟურნალში („თ. და ც.“ № 28) უკვე იყო აღნიშნული ამ წიგნაკის გამოსვლა. პატივცემულ ავტორის ფრანგულად ნათარგმნი „ლექსნი“ მე არა მაქვს წაკითხული, მაგრამ რამდენათაც ამ წიგნაკით შეიძლება ავტორის ნიჭის დაფასება — მას უთუოთ ეტყობა პოეტური აღმაფრენა და ზემთაგონება. ჩვენ ვფიქრობთ, მგოსანს რო შესძლებოდა მშობლიურ ენაზე წერა — მისი ნიჭი უფრო მეტსავე ჩაიდგას იზოვიდა გასაოცურჩქნელათ და მშობლიურ პოეზიის თაიგულს ფრიად სურნელოვან და ფერად ყვავილს შესძენდა. მისი ლექსების მუსიკალური მხარე საუცხოვოა. მაგალითად, ნამდვილ მუსიკას წარმოადგენენ შემდეგი ტაეპები თავის „მოგონების“:

„O lun cajoleuse
Belie lune enjoleuse
Au'as-fu ce soir?
Pourquoi viens-tu sourir
Si tu n'as rien à dire
A moh espoir?“...

აგრეთვე შეუდარებელ სილამაზისა არიან მისი ლექსები — „ოცნება“, „ლეგენდა და სვანი“, საცა ის მშვენიერათ ასწერს განსაკუთრებით ცხოველმყოფელ ბუნებას. წიგნაკი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, კოხტათ გამოცემული, სულ შეიცავს 48 გვერდს; შედარებით ძვირათ ღირს — 50 კაპ. გამოცემულია 1910 წელს თბილისში. **გრ. ჩ — ია**

# წვრილი ამბები

✦ **ქართული სეზონის გახსნა** თეატრის შეუკეთებლობის გამო გადაიდო კვირისთვის.

✦ **ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობა** უკლებლად უსწორდება მსახიობთა და სხვა მოსამსახურეთ, მიუხედავად იმისა, რომ ძველი გამგეობისგან ვალის მეტი არა დარჩენია-რა და ჯერჯერობით შემოსავალიც არა აქვს-რა.

✦ **საგულისხმო კამათი მოხდა** გასულ კვირა საღამოს ქართ. მსახიობთა წრეში. წრე შეიკრიბა რეჟისორთა ვლ. ალ-მესხიშვილისა და ვალ. შალიკაშვილის თაოსნობით. სასცენო ხელოვნების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ვლ. ალ.-მესხიშვილმა. დიდი კამათი გამოიწვია საზოგადოდ ხელოვნების საკითხმა, „თეატრი და ცხოვრების“ მიერ აღძრულმა, რომელსაც გამოეკამათა მიმოზა გაზ. „საქმე“-ში. მოპირდაპირე მოპასმათენი იყვნენ ნ. ლორთქიფანიძე (ამტკიცებდა, რომ ხელოვნება კლასთა გარეშეაო) და ბუდუ მდივანი (ხელოვნება კლასიურიაო). მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა მცხოვანმა მგოსანმა აკაკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ბევრ ხელოსნობა ხელოვნებისაგან ვერ გაურჩევია, ერთს მეორეში რევსო. ხელოვნება როგორ შეიძლება რომელიმე პარტიული ანუ კლასიური იყვესო. დასასრულ მგოსანმა ხელოვნურ ნაწარმოების შექმნის მთავარ ძალად სიყვარული აღიარა და დასძინა-რაც უმაღლესი სიყვარულით არის შექმნილი, საერთოაო.

✦ **ახალი ხანა ულიმის** ქართულ მელპომენას, — ორიგინალური და ნათარგმნი პიესები, მსახიობთა წესიერი და ხალისიანი სიარული რეპეტეციებზე (დილა-საღამოს), გულდადებით მომზადება დიდს იმედს იძლევა.

✦ **ქართული დასისთვის მზადდება** ახალი დეკორაციები, ტანისამოსები და საბუტაფორო ნივთები.

✦ **ი. ქუიძემ სთარგმნა** პიესა „ნორჩი თაობა“ (ჩვიდმეტი წლისანი).

✦ **თ. დავით ერისთავის** გარდაცვალებიდან 20 წლისთავი სრულდება წელს, 11 ოქტომბერს.

✦ **სახ. სახლში ქარ. წარმოდ. მმართ. წრე** სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა. სეზონი უნდა გაეხსნათ 11 ენკენ. „ღალატი“ თ, მაგრამ რეჟისორის კ. ნ. შათირიშვილის ავადმყოფობის გამო, 18 ენკენისთვის. გადაიდო და ვინაიდან „ღალატი“ ველარ ხერხდებოდა, „ექიმი შტოკმანი“-ს წარმოდგენა განიზრახეს. მაგრამ აქაც ბედმა უმუხლათ: ქალები შემოეფანტათ — თ. გოგოლაშვილი რუსეთს გაემგზავრა, ა. ქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოძე და თამარაშვილი ქუთ. დრამ. საზოგ. გაიწვია, თვითო თვეში 80 მან.

✦ 200 **წელიწადი სრულდება** 21 ენკენისთვეს რაც უკრაინელთა ისტორიაში ცნობილი მთავარი მაზეპა გარდაიცვალა. ამ დღის აღსანიშნავად „სახ. სახლში“ უკრაინელი მსახიობნი ბ-ნ. ჩაროვის რეჟისორობით წარმოადგენენ პირველათ „ზაკარი ოჩი, ტაჩერნი ბროვი,“ ისტ. დრ.

✦ **ვლ. ალ. — მესხიშვილმა კ. ს. სტანისლავსკის** ჯანმრთელობა იკითხა დეპეშით. სტანისლავსკიმ დეპეშითვე უპასუხა კისლავოდსკიდან 15 ენკენისთვეს; ,,გულწრფელად გმადლობთ. თან და თან ვრჩები, გულით გისურვებთ სრულს წარმატებას. — სტანისლავსკი“.

✦ **ქუთაისის სეზონი** გაიხსნება ენკენისთვის ბოლო რიცხვებში.

✦ **შირვანზადე,** სომეხთა დრამატურგი, პარიზიდან დაბრუნდა. პარიზში გადაუხდიათ მისი 30 წლ. იუბილე, წელს თბილისშიაც აპირებენ მისი იუბილეს გარდახდას.

## რ უ ს ე თ ი

✦ **ლ. ანდრეევმა უკვე დაასრულა** თავისი ახალი პიესა „ოკეანე“, 7 სურათით, პიესა სცენაზე წარმოსადგენად ძნელია რადგანაც დრამა შეკავშირებულია მოთხრობასთან. ზოგიერთ ცნობილ პირის აზრით, ამ საინტერესო ცდამ — დრამისა რომანთან შეერთებამ შესანიშნავად მიაღწია მიზანს. პიესას ზამთარში წარმოადგენენ. მისი პირველი ახალი პიესა „gaudeamus“ უკვე ითამაშეს რუსეთის 20 სხვა და სხვა პროვინციალურ ქალაქში. საზოგადოება აღტაცებით ისმენს.

✦ **სინემატოგრაფმა გაიწია.** მოსკოვის ანტრეპრენიორი ს. ი. ზიმინი ამ ახლო ხანში სდგავს ნუგესას ოპერას „ვიდრე ხვალ?!“, ანტრეპრენიორს განუღზრახავს პირველი წარმოდგენის მოწყობილობა - თამაშის დასახსომებლად სინემატოგრაფით გადიღოს ყოველივე.

✦ **სახელგანთქმულმა მსახიობმა დალსკიმ,** რომელსაც თბილისელნიც იცნობენ, ადესაში მიატოვა მთელი დასი უგროშკაპეიკოდ.

✦ **მ. გორკის „ნაძირალნი“** ნორვეგიაში, როგორც დეპეშით იტყობინებიან, საზოგადოებამ დიდის აღტაცებით მოისმინა.

✦ **პიესის წარმოდგენის** ნება არ დართეს ტარაშსჩსა და კანევკაში მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაულიდან იყო ნათარგმნი.

✦ **გენ. დუმბაძემ აუკრძალა** იალტაში დროებით ცხოვრება. 13 ებრაელ მემუსიკეს. რომელნიც საგასტროლოდ იყვენ მოსულნი ნოვიკოვის დასში.

✦ **კ. ს. სტანისლავსკი,** რომელიც ამას წინად უცებ ავად გახდა კისლავოდსკაში, თანდათან უკეთ ხდება. ჯერ-ჯერობით მაინც ვერ მიიღებს მონაწილეობას სათეატრო საქმეში.

## უ ც ხ ო ე თ ი

✦ **იოსებ კაინცი.** ვენაში გარდაიცვალა ჩვენის დროის შესანიშნავი მსახიობი, გერმანიის სასცენო ხელოვნების ერთი უკეთესი წარმომადგენელი და ვენის ბურგ-თეატრის მნათობი კაინცი. მისი გარდაცვალებით სამარეს ჩაესვენა მსოფლიო ნიჭი; იგი იყო ზე აღმტაცი, გრძნობათა მეფე, უებრო მცოდნე და განვითარებული, კლასიკურ ხატებათა პირველხარისხოვანი გამპიროვნებელი. მისი ჰამლეტი, რომეო დონკარლოსი, ხელოვნების დიდებული შემოქმედებანია. კაინცის სიკვდილი ხელოვნების ფასდაუდებელი დანაკლისია.

# სათეატრო მიმოხილვა

**თელავი.** 10 ენკენისთვეს ადგილობრივ წიგნთსაცავის სასარგებლოთ საკრებულო დარბაზიდ წარმოადგინეს ახალი პიესა ნ. შიუკაშვილისა „გამხმარი ფოთოლი“. მონაწილეობას იღებდნენ პ. მამინაშვილისა ბ. ტყავაძისა, დ. აწყურელი, კ. ანდრონიკაშვილი, ვ. კაკაბაძე, მ. აჯიმამუდოვი და ვ. მთვარელიშვილი. მესამე მოქმედების გარდა პიესამ მშვენივრად ჩაიარა, მეტადრე მეოთხე მოქმედებამ, რომელმაც თითქმის მაყურებელი საზოგადოება აატირა.

პიესის შინაარსს არ შევეხები, იგი დაბეჭდილია და მსურველს შეუძლია გაიცნოს. წარმოდგენამ საერთოდ კარგათ ჩაიარა. გასაოცარია ერთი გარემოება; ჩვენს დროშიც-კი, როდესაც კულტურის მხრივ ცოტა ოდნათ ფეხი წინ წავდგით, კიდევ მოიპოვებიან ნახევარ — ინტელიგენტნი, ზოგიერთა ხანჯლოსანნი, რომელნიც სარგებლობენ მით, რომ ადგილობრივი პოლიცია ხათრს შეგვინახავს, არ გაგვაჩუმებსო, იქვე ახლოს, გვერდით „ბუფეტში“ ისე ღრიალებდენ, ისეთი უშვერის სიტყვებთ ილანძღებოდენ, რომ ქუჩაშიაც კი იშვიათად გაიგონებთ ბიჭბუჭებისაგან. ნუ თუ გონს აღარ მოეგებიან ეს ვაჟბატონები.

**დარელი**

**ჭიათურა.** კვირას, 5 ენკენისთვეს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ ქ-ნ ივანიძის მონაწილეობით წარმოადგინა ისენის „მოჩვენებანი“. მარტო ეს სახელიც საკმარისია კაცმა წარმოიდგინოს, რომ ჭიათურის სცენა ამ პიესას ვერ დასძლევდა. უფრო შეგნებით ითამაშეს თავიანთი როლები ქ-ნმა ივანიძემა (ელენე) და ბ. გძელიძემ (ოსვალდი). საჭიროა ასეთ პიესების წარმოდგენას დიდის სიფრთხილით მოეპყრან, განსაკუთრებით პროვინციაში. — დასასრულ წარმოადგინეს „დატრიალდა ჯარა“, ყიფიანისა.

**მ — ლი**

**კ. ონი.** 7 ენკ. ს. სამიწოს სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა „ციმბირელი“, ა. ცაგარელისა; პიესამ შედარებით უკედ ჩაიარა — კარგები იყვენ ა. იაშვილი (მაზუთიანი), ი. იაშვილი (ციმბირელი) ვ. მეტრეველი (პეტუა), კ. იაშვილის ასული (მაშიკო). საზოგადოება უფრო ნასიამოვნები დარჩებოდა, რომ წარმოდგენის დაწყებისა ადგილობრივ პოლიციის მოხელეს დარბაზიდან სკამების პირველი რიგი არ წამოეკრიფნა და პარტიl სათამაშო ოთახში არ გაეტანა. შფოთი დააწყნარეს, მაგრამ რა სახელი დავარქვათ ამ ვაჟბატონის საქციელს?.

**ნ — ი**

**ფოთი.** 8 ენკენ. ადგილობრივ კლუბის დარბაზში ა. წუწუნავას რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა კ. ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“. პიე-

სამ კარგად ჩაიარა, ეტყობოდა მომზადება, ხალხი ნაკლებად დაესწრო.

ფ—ი

**ქუთაისი.** 31 აგვისტოს „ღალატის“ წარმოდგენის გათავებისას ნამდვილი ღალატი ჩაიდინა ბ. ნარეკაშვილმა, რომელიც აქ „არტისტის“ სახელს ირქმევს. წარმოდგენისთვის დაექირავებინა სტატისტები, თვითეული 20 კაპ., ნარეკაშვილმა კასიდან მიიღო ფული, მაგრამ სტატისტებს-კი არაფერი მისცა. არწმუნებდა—არ მიმიღიაო, რის გამოც მეორე დღეს ერთმა სტატისტთაგანმა ლოყა აუწითლა. ძალიან კარგი იქმნება ასეთი ვაჟბატონი თეატრს ჩამოშორდეს. **მაყურებელი**

**ყვირილა.** შაბათს, 11 ენკენისთვეს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში, გაიმართა წარმოდგენა—ლიტერატურულის განყოფილებით. ითამაშეს დ. მესხის მხიარული კომედია „გმრიელი ლუკმა“. ივანიკას როლს ასრულებდა თვით დ. მესხი. მკვირცხლი და ცოცხალი იმერელი იყო. დანარჩენები ხელს უწყობდენ ანსაბლს... სცენა ძლიერ ღარიბულად იყო მოწყობილი, როგორც სჩანს კლუბი სულ არ ფიქრობს სცენის ბედ-იღბალზე...

ლიტერატურულ განყოფილებაში, გამოცხადებული იყო გრ. რობაქიძე, რომელიც არ ჩამოსულა; რისთვის აცხადებენ დალოცვილები?! ჩვენმა ბელეტრისტმა დ. კლდიაშვილმა წაიკითხა საკუთარი ნაწარმოები „როსტომ მანველიძე“. სასიამოვნოდ დარჩა საზოგადოებას მისი მოსმენა, რისთვისაც ხანგძლივი ტაშის ცემით დაჯილდოვეს. დ. მესხმა წაიკითხა საკუთარი ზღაპარი „როგორ ატყუებენ გლეხს“. ბოლოს ბ. ჭუმბაძემ წაიკითხა „სიყვარულის ნეკროლოგი“, ცოტა არ იყოს გაჭიანურებული და უსიცოცხლო გამოდგა... დასასრულ გაიმართა ცეკვა მანდოლინა-გიტარაზე.

როგორც გავიგეთ, ეს წარმოდგენა არც ისე ღარიბ სტუდენტის სასარგებლოდ იყო. შემოსავალი დიდი იყო.

**ბიჭი—ბიჭი**



ქრიჟანბი

## მომავალი სეზონი ქუთაისში

ქუთაისის ქარ. დრამატიულ საზოგადოების ხელმძღვანელობით, ქალაქის თეატრში დაიწყება სეზონი, ქართულ დასისა პირველს ოქტომბერს. **დასში ირიცხებიან:** ქქ. ანდრონიკაშვილი ე., ბაქრაძე თ., გოგობერიძე ო., ივანიძე დ., ქიქოძე ა., მდივანი მ., წუწუნავა ე., ჩხეიძე ნ. ბ. ბ. არაბიძე ვ. ავტალიდ გ. ბარველი თ. გუგაშვილი ა. დოლანი გ. ქორელი მ. კორიშელი ა. სარელი ვ. იმედაშვილი ა. მურუსიძე ა. ყალაბეგიშვილი ა. ურუშაძე ვ.

სუფლიორები გურული გ. პარკოსაძე გ., რეჟისორნი ქორელი მ. დოლანი ვ. **დაახლოვებითი რეპერტუარი:** „სიმახინჯე“, „მეგობრობა“ „გამხმარი ფოთოლი“—მიუკაშვილის. „მსხვერპლი“—ბედევანიშვილის, „საბედისწერო დამბაჩა“—ტ. რამიშვილის, „ეროს და პსიხეა“—ჟულავსკის, „ტაიფუნ“—ლინგიელის, „გაუდიაუს“—ლ. ანდრეევის, „ძია ვანო“—ა. ჩეხოვის, „სასწაული წმ. ანტონისა“—მეტერლინგის, „ჯიოკონდა“—დანუნციოსი, „სატანა“—გორდინის, „ევგენე“—შირვანზადესი, „მირა ეფროს“ და სხვა... გამგეობას აწრადა აქვს მართოს დრო გამოშვებით სახალხო წარმოდგენები ძლიერ დაკლებულის ფასებით.

რეპეტიციები დაიწყო 10 ენკენისთვეს.

—პი

**მივიღეთ იაკობ გოგებაშვილის** ახალი წიგნი ,,რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები.‘‘ წიგნი დიდი ტანისაა, დაბეჭდილია ძლიერ მშვენივრად (450 გვერდია), საუცხოვო ქაღალდზე, შეიცავს ასზე მეტს წერილს წინასიტყვაობით და ღირს მხოლოდ ერთი მან. ავტორი წიგნს უძღვნის ჩვენის მეცნიერის, პროფესორ ვ. პეტრიაშვილის ხსოვნას. წიგნში მოთავსებულია 1866 წლიდან მოყოლებით ქართულად დაწერილი წერილები. ამ წიგნს შემდეგ ვრცელს წერილს ვუძღვნით.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

მიიღება ხელის მოწერა

# „თეატრი და ცხოვრება"-ზე

წლიურად 5 მან. ნახევარ წლით 3 მან.

---

თბლისის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

# გ. მ. თუმანიშვილის

## წიგნები

# Характеристики и воспоминанія

3 выпуска, цѣна каждаго 50 коп.

---


**Вновь открыта обширная**

**ТИПОГРАФІЯ**

# „ГЕРМЕСЪ"

Принимаются

всевозможныя типографскія и переплетныя работы

**по весьма умѣреннымъ цѣнамъ.**

**Заказы исполняются изящно и аккуратно.**

*Мадатовская № 5.*


---

Типографія „ГЕРМЕСЪ" Мадатовская, № 5.